



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 12
11/12/2017

12-06-4-201712111315



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ენვერ ჯაფარიძის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების III რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე იურიდიულ საკითხებში მობილობის წესით გადაყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილების, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების კომისიის 2017 წლის 29 სექტემბრის N2 სხდომის ოქმის და ე. ჯაფარიძის 2017 წლის 8 დეკემბრის N29 (თანხმობის) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ენვერ ჯაფარიძე მობილობის წესით გადაყვანილი იქნას 2017 წელს გაუქმებული ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების III რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე იურიდიულ საკითხებში და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 850 (რვაასორმოცდაათი) ლარით.

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

